„საქართველოს უნივერსიტეტი“

მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სკოლა

სადოქტორო პროგრამა: მათემატიკა

ხელნაწერის უფლებით

მედეა ცაავა

სასაზღვრო ამოცანები ელიფსური განტოლებებისათვის ლიფშიცის საზღვრიან ჰიპერზედაპირებზე

მათემატიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნაშრომის

სადისერტაციო მაცნე

(სპეციალობა - ___ - მათემატიკა)

თბილისი

2021

სასაზღვრო ამოცანები ჰიპერზედაპირებზე

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია საქართველოს უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სკოლაში.

სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობა:

თავმჯდომარე - პროფესორი სოსო გოგილიძე

სამეცნიერო ხელმძღვანელი - პროფესორი როლანდ დუდუჩავა

გარე ექსპერტი - პროფესორი თენგიზ ბუჩუკური

გარე ექსპერტი - პროფესორი ევგენი შარგოროდსკი

გარე ექსპერტი - პროფესორი ოთარ ჯოხაძე

დისერტაციის დაცვა შედგება 2021 წლის 23 ივნისს 16:00 საათზე

მისამართზე: თბილისი, კოსტავას 77ა, 519 აუდიტორია

დისერტაციის გაცნობა შეიძლება საქართველოს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში

სადისერტაციო მაცნე დაიგზავნა 2021 წლის 22 მაისს.

სადისერტაციო საბჭოს მდივანი, სადოქტორო საფეხურისა და საკვალიფიკაციო ნაშრომების მენეჯერი - ნათია მანჯიკაშვილი

ნაშრომის ზოგადი დახასიათება:

პრობლემატიკას, რომელთა დამუშავებას ისახავს მიზნად მოცემული დისერტაცია, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კერძოწარმოებულიანი დიფერენციალური განტოლებების გამოკვლევებში.

სადისერტაციო ნაშრომში გამოკვლეულია სხვადასხვა სასაზღვრო ამოცანების ამოხსნადობის და ერთადერთობის საკითხი მაღალი რიგის კერძოწარმოებულიანი დიფერენციალური განტოლებებისათვის ჰიპერზედაპირზე როგორც კლასიკური, ასევე არაკლასიკური დასმით. კერძოდ, "ანიზოტროპული" ლაპ-ლას-ბელტრამისა და ბი-ლაპლას-ბელტრამის განტოლებებისათვის გამოკვლეულია როგორც დირიხლეს და ნეიმანის, ასევე შერეული სასაზღვრო ამოცანების ამონახსნის არსებობა და ერთადერთობა ბესელის პოტენციალთა $\mathbb{H}^1_2(\mathcal{C})$ სივრცეში გლუვ $\mathcal{C}$ ჰიპერზედა-პირზე გლუვი $\Gamma = \partial\mathcal{C}$ საზღვრით.

დასმული ამოცანების ჩამოსაყალიბებლად გამოყენებული იქნა გიუნტერის წარმოებულები და შესაბამისად ლაპლას-ბელტრამის და ბი-ლაპლას-ბელტრამის ოპერატორი ჩაიწერა მარტივი ფორმით. ამოცანების განხილვისას დამტკიცებული იქნა $\mathrm{div}_{\mathcal{S}}(A\nabla_{\mathcal{S}}) + \mathcal{H}I : \mathbb{H}^s_p(\mathcal{S}) \to \mathbb{H}^{s-2}_p(\mathcal{S})$ "შეშფოთებული" ოპერატო-რის შებრუნებადობა, სადაც $A(x)$ არის $n \times n$ შემოსაზღვრული ზომადი დადებითად განსაზღვრული მატრიც-ფუნქცია, ხოლო $\mathcal{H}$ წარმოადგენს გლუვ ფუნქციას, აქვს არაუარყოფითი ნამდვილი ნაწილი $\mathrm{Re}\mathcal{H}(t) \geqslant 0$ ყველა $t \in \mathcal{S}$ -სთვის და $\mathrm{mes\,supp\,Re}\mathcal{H} \neq 0$. იგივე შედეგი მიღებულია შეშფოთებული ბი-ლაპლას-ბელტრამის ოპერატორისათვის $\Delta^2_{\mathcal{S}} + \mathcal{H}I : \mathbb{H}^s_p(\mathcal{S}) \to \mathbb{H}^{s-4}_p(\mathcal{S})$. აქ $\mathcal{S}$ წარ-მოადგენს ჰიპერზედაპირს საზღვრის გარეშე, ხოლო $1 < p < \infty$ და $-\infty < s < \infty$ ნებისმიერია. უფრო მეტიც, $\mathrm{div}_{\mathcal{S}}(A\nabla_{\mathcal{S}})$ და $\Delta^2_{\mathcal{S}}$ ოპერატორებისათვის დამტკიცებულია ფუნდამენტური ამონახსნის არსებობა, რომელიც განმარტებულია როგორც ამ ოპერატორების შებრუნებულები სივრცეებში $\mathbb{H}^s_{p,\#}(\mathcal{S}) \to \mathbb{H}^{s-2}_{p,\#}(\mathcal{S})$

და $\mathbb{H}^{s}_{p,\#}(\mathcal{S}) \to \mathbb{H}^{s-4}_{p,\#}(\mathcal{S})$ შესაბამისად (ან კიდევ შებრუნებული ოპერატორის ჰერმანდერის ბირთვი), სადაც $\mathbb{H}^{s}_{p,\#}(\mathcal{S})$ არის ბესელის პოტენციალთა სივრცის ქვესივრცე რომელიც შედგება ისეთი ფუნქციებისაგან, რომელთა საშუალო მნიშვნელობა ნულია.

სასაზღვრო ამოცანების ამოხსნადობის და ერთადერთობის დასამტკიცებლად გამოყენებული იქნა გრინის ფორმულები, კვალების არსებობა და ლაქს-მილგრამის ლემა. ბი-ლაპლას-ბელტრამის ოპერატორისთვის გრინის ფორმულები ჰიპერზედაპირზე ჩაიწერა მარტივად გიუნტერის წარმოებულების საშუალებით. სასაზღვრო ამოცანისათვის მაღალი რიგის კვალების არსებობა დამტკიცებულ იქნა კვალების შესახებ რ. დუდუჩავას მიერ მიღებული ლემის და გრინის ფორმულის გამოყენებით.

არაკლასიკური დასმით განხილვისას გამოკვლეულია როგორც ჩვეულებრივი, ასევე შერეული სასაზღვრო პირობებით ლაპლას-ბელტრამისა და ბი-ლაპლას-ბელტრამის განტოლებებისათვის ამონახსნის არსებობა და ერთადერთობა ბესელის პოტენციალთა $\mathbb{H}^{s}_{p}(\mathcal{C})$ და სობოლევ-სლობოდეცკის $\mathbb{W}^{s}_{p}(\mathcal{C})$ სივ-რცეებში გლუვ $\mathcal{C}$ ჰიპერზედაპირზე გლუვი $\Gamma = \partial(\mathcal{C})$ საზღვრით და შერეული სასაზღვრო ამოცანა ჰელმჰოლცის განტოლებისათვის კუთხოვან $\Omega_{\alpha} \subset \mathbb{R}^{2}$ არეში α კუთხით.

სასაზღვრო ამოცანების განხილვისას ერთ-ერთ პრობლემას წარმოადგენდა ფუნდამენტური ამონახსნის არსებობა ლაპლას-ბელტრამისა და ბი-ლაპლას-ბელტრამის ოპერატორებისათვის. დამტკიცებულ იქნა ლაპლას-ბელტრამისა და ბი-ლაპლას-ბელტრამის ოპერატორის შებრუნებადობა ბესელის პოტენციალთა სივრცეებში კონსტანტების გამოკლებით. აღმოჩნდა, რომ ასეთ სივრცეებში, მოცემულ ოპერატორებს გააჩნიათ ფუნდამენტური ამოხასნი. ამან მოგვცა საშუალება აგვეგო ნიუტონის და ფენოვანი პოტენციალები და გამოგვეყენებინა პოტენციალთა მეთოდი. შერეული დირიხლე-ნეიმანის სასაზღვრო ამოცანის გამოსაკვლევად ლაპლას-ბელტრამის განტოლებისათვის ვიყენებთ კვაზი-ლოკალიზაციას და ვღებულობთ მოდელურ სასაზღვრო ამოცანას ლაპლასიანისთვის ნახევარსიბრტყეზე, სიბრტყეზე და

კუთხოვან არეზე. მოდელური სასაზღვრო ამოცანა სიბრტყეზე და ნახევარსიბრტყეზე კარგად არის შესწავლილი. მოდელური სასაზღვრო ამოცანა კუთხოვან არეზე გამოკვლეულია პოტენციალთა მეთოდით და დაყვანილია ექვივალენტურ მელინის კონვოლუციის განტოლებათა სისტემაზე სობოლევ-სლობოდეცკის სივრცეში ნახევარღერძზე. მელინის კონვოლუციის განტოლებები ბესელის პოტენციალთა სივრცეებში გამოკვლეულია ვ. დიდენკოსა და რ. დუდჩავას მიერ. მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით აგებულია ცხადად მიღებული სასაზღვრო ინტეგრალური განტოლებების სისტემის სიმბოლო, რომელიც უზრუნველჰყოფს ამოხსნადობის და ფრედჰომლურობის თვისებებს, გვამლევს სისტემის ინდექსის ჩაწერის საშუალებას. სასაზღვრო ამოცანის ამონახსნის ერთადერთობის კრიტერიუმი არაკლასიკური დასმით მოცემულია ცხადად.

ანალოგიურად, სასაზღვრო ამოცანის გამოსაკვლევად ბი-ლაპლას-ბელტრამის განტოლებისათვის გამოყენებულ იქნა კვაზი-ლოკალიზაცია და თავდაპირველი სასაზღვრო ამოცანის გამოკვლევა დავიდა ბი-ლაპლასიანისთვის მოდელური სასაზღვრო ამოცანის გამოკვლევაზე ნახევარსიბრტყეში, რომელიც გამოკვლეულია პოტენციალთა მეთოდით და დაყვანილია ექვივალენტურ კოშის ტიპის განტოლებათა სისტემაზე.

ჰელმჰოლცის განტოლებისათვის სასაზღვრო ამოცანა გამოკვლეულია არაკლასიკური დასმით α გაშლის მქონე კუთხოვან არეში Ω_α და ამონახსნი იძებნება ბესელის პოტენციალთა $\mathbb{H}_p^s(\Omega_\alpha)$, $s>1/p$, $1<p<\infty$ სივრეებში. ამოცანა გამოკვლეულია პოტენციალთა მეთოდის გამოყენებით და დაყვანილია ექვივალენტურ სასაზღვრო ინტეგრალურ განტოლებათა სისტემაზე სობოლევ-სლობოდეცკის სივრცეში $\mathbb{W}_p^{s-1/p}(\mathbb{R}^+)$ ნახევრად უსასრულო ღერძზე, სადაც მიღებული განტოლებათა სისტემა არის მელინის კონვოლუციის ტიპის. გამოყენებულია ვ. დიდენკოსა და რ. დუდჩავას მიერ მიღებული შედეგები მელინის კონვოლუციის განტოლებებისათვის. ნაპოვნი იქნა სასაზღვრო ინტეგრალურ განტოლებათა სისტემის ამონახსნის არსებობის და ერთადერთობის ცხადი პირობები სობოლევ-

სასაზღვრო ამოცანები ჰიპერზედაპირებზე

სლობოდეცკისა $\mathbb{W}_p^r(\mathbb{R}^+)$ და ბესელის პოტენციალთა $\mathbb{H}_p^r(\mathbb{R}^+)$ სივრცეებში მთელი r-სათვის, რომელიც გამოყენებულ იქნა ჰელმჰოცის განტოლებისათვის საწყისი სასაზღვრო ამოცანის ამოხსნადობის, ამონახსნის ერთადერთობის და ფრედჰოლმურობის პირობების დასადგენად ზემოთ აღნიშნული არა-კლასიკური დასმით.

სადოქტორო ნაშრომი მოიცავს შემდეგ თავებს:

1) შესავალი,
2) ამონახსნის არსებობა და ერთადერთობა ლაპლას-ბელტრამისა და ბი-ლაპლას-ბელტრამის განტოლებისათვის შერეული სასაზღვრო პირობებით ჰიპერზედაპირზე $\mathbb{H}_2^1(\mathcal{C})$ სივრცეში ,
3) ამონახსნის არსებობა და ერთადერთობა ლაპლას-ბელტრამისა და ბი-ლაპლას-ბელტრამის განტოლებისათვის შერეული სასაზღვრო პირობებით ჰიპერზედაპირზე $\mathbb{H}_p^s(\mathcal{C})$ სივრცეში,
4) ამონახსნის არსებობა და ერთადერთობა ჰელმჰოლცის განტოლებისათვის სწორკუთხოვან $\Omega_\alpha \subset \mathbb{R}^2$ არეში α კუთხით.

და გამოყენებულია შემდეგი სტატიები:

• R. Duduchava, M. Tsaava, T. Tsutsunava, "Mixed Boundary Value Problem on Hyper\-sur\-faces", International Journal of Differential Equations, 2014, 1-8.

• M. Tsaava, "The boundary Value Problems for the Bi-Laplace-Beltrami Equa\-tion", Memoirs on Differential Equations and Mathematical Physics, Vol: 77, 2019, 93-103.

• R. Duducava, M. Tsaava, "Mixed Boundary Value Problems for the Laplace-Beltrami Equation", Complex Variables and Elliptic Equations, Vol: 63, 2018, 1468-1496.

სასაზღვრო ამოცანები ჰიპერზედაპირებზე

• M. Tsaava, "Bi-Laplace-Beltrami Equation on a Hypersurface", Transactions of A. Razma\-dze Mathematical Institute, Vol: 173, (2019), 3, 147-157.

• R. Duduchava, M. Tsaava, "Mixed Boundary Value Problems for the Helmholtz Equation in a Model 2D angular Domain", Georgian Mathematical Journal, Vol: 27, 2, 2020, 211–231.

• T. Buchukuri, R. Duduchava, D. Kapanadze, M. Tsaava, "Localization of a Helmholtz boun-da-ry value problem in a domain with piecewise-smooth boundary", Proceedings of A. Razmadze Mathematical institute, Vol: 162, 37-44, 2013.

კვლევის სიახლე და ინოვაციურობა

მათემატიკური ფიზიკის მრავალი ამოცანა, მაგალითად, ბზარების ამოცანები დრეკად გარემოში, ელექტრომაგნიტური ტალღების გაბნევა ზედაპირების მიერ კუთხოვანი საზღვრით (ეგრეთწოდებული არეები ლიფშიცის საზღვრით). გარსების განტოლება ზედაპირზე კუთხოვანი საზღვრით (ჰიპერზედაპირები ლიფშიცის საზღვრით) და მრავალი სხვა ყალიბდება სასაზღვრო ამოცანების სახით ელიფსური კერძოწარმოებულიანი დიფერენციალური განტოლებისათვის ჰიპერზედაპირებზე და ბრტყელ არეებში კუთხოვანი საზღვრით. ასეთი სასაზღვრო ამოცანები ლოკალიზაციის მეთოდით დაიყვანება ექვივალენტურ მოდელურ ამოცანებზე ბრტყელ კუთხეებში, რომლის საზღვარი შედგება კოორდინატთა სათავიდან გამომავალი ორი სხივისაგან, დახრილი ერთმანეთთან რაღაც კუთხით. მოდელური ამოცანა შეისწავლება პოტენციალთა მეთოდით. შედეგად სასაზღვრო ამოცანა დაიყვანება სასაზღვრო ინტეგრალურ განტოლებაზე, რომელიც წარმოადგენს მელინის კონვოლუციის განტოლებას (განტოლებას უძრავი სინგულარობით) მერომორფული ბირთვით. ხდება მიღებული განტოლების ამოხსნადობის სრული გამოკვლევა, რაც საშუალებას გვაძლებს გავაკეთოთ დასკვნები საწყისი სასაზღვრო ამოცანის ცალსახად ამოხსნადობისა და ამონახსნის თვისებების შესახებ. პრობლემატიკა, რომელიც განხილულია

სადოქტორო ნაშრომში, წარმოადგენს ერთერთ აქტუალურ საკითხს მათემატიკური ფიზიკის ამოცანების განხილვაში. ტექნიკა, რომელიც გამოიყენება ამოცანების პრობლემის გადაჭრაში, განვითარდა უკანასკნელი წლების განმავლობაში პროფესორების დუდუჩავასა და დიდენკოს მიერ (მელინის კონვოლუციის ოპერატორები). სწორედ ამ ტექნიკის გამოყენებით დამტკიცდა ამონახსნის არსებობა და ერთადერთობა ლაპლას-ბელტრამისა და ბი-ლაპლას-ბელტრამის განტოლებისა-თვის ჩვეულებრივი და შერეული სასაზღვრო პირობებით არაკლასიკური დასმით.

სასაზღვრო ამოცანების განხილვისას ერთ-ერთ პრობლემას წარმოადგენდა ფუნდამენტური ამონახსნის არსებობა ლაპლას-ბელტრამისა და ბი-ლაპლას-ბელტრამის ოპერატორებისათვის ჰიპერზედაპირზე. ჰიპერზედაპირზე და ევკლიდის $\mathbb{R}^n$ სივრცეში დიფერენციალურ ოპერატორებს შორის ძირითად განსხვავებას წარმოადგენს ფუნდამენტური ამონახსნის არსებობა: ევკლიდის $\mathbb{R}^n$ სივრცეში ფუნდამენტური არსებობს ყველა ელიფსური კერძოწარმოებულიანი დიფერენციალური ოპერატორისთვის მუდმივი კოეფიციენტებით, თუ იგი იგივურად ნულის ტოლი არ არის. ჰიპერზედაპირზე ლაპლას-ბელტრამისა $\Delta_{\mathcal{C}} : \mathbb{H}^s_p(\mathcal{S}) \to \mathbb{H}^{s-2}_p(\mathcal{S})$ და ბი-ლაპლას-ბელტრამის $\Delta^2_{\mathcal{C}} : \mathbb{H}^{s+2}_p(\mathcal{S}) \to \mathbb{H}^{s-2}_p(\mathcal{S})$ ოპერატორებს არ გააჩნიათ ფუნდამენტური ამონახსნი, რადგან მათ აქვთ არატრივიალური ბირთვი, რომელიც შედგება კონსტანტებისაგან. შესაბამისად, ლაპლას-ბელტრამისა და ბი-ლაპლას-ბელტრამის ოპერატორებს განვიხილავთ ბესელის პოტენციალთა სივრცეებში $\Delta_{\mathcal{C}} : \mathbb{H}^s_{p,\#}(\mathcal{S}) \to \mathbb{H}^{s-2}_{p,\#}(\mathcal{S})$ და $\Delta^2_{\mathcal{C}} : \mathbb{H}^{s+2}_{p,\#}(\mathcal{S}) \to \mathbb{H}^{s-2}_{p,\#}(\mathcal{S})$, სადაც ფუნქციათა საშუალოები ნულია (არ შეიცავენ კონსტანტებს) ყველა $1 < p < \infty$ და $s \in \mathbb{R}$-სთვის და დავამტკიცებთ, რომ არიან შებრუნებადი ოპერატორები. დადგენილი შებრუნებადობა ნიშნავს ფუნდამენტური ამონახსნის არსებობას, რომელიც გამოიყენება ნიუტონის და ფენოვანი პოტენციალების განმარტებისას.

კვლევის მეთოდოლოგია:

ნაშრომი არის თეორიული ხასიათის, რომელიც ეხება ჰიპერზედაპირზე მაღალი რიგის კერძოწარმოებულიანი დიფერენციალური განტოლებებისათვის სხვადასხვა სასაზღვრო ამოცანების ამონახსნის არსებობისა და ერთადერთობის საკითხს როგორც სუსტი კლასიკური, ასევე სუსტი არაკლასიკური დასმით. დასმული ამოცანების ჩამოსაყალიბებლად ვიყენებთ გიუნტერის წარმოებულებს, ხოლო პრობლემების გადასაჭრელად ვიყენებთ ლაქს-მილგრამის ლემას ამოცანის სუსტი კლასიკური დასმით განხილვისას და პოტენციალთა მეთოდს ამოცანის სუსტი არაკლასიკური დასმით განხილვისას.

გიუნტერის წარმოებულებზე დამყარებული მეთოდის უპირატესობა მდგომარეობს განსახილავი ოპერატორის მარტივი ფორმით ჩაწერაში. გარდა ამისა, გიუნტერის წარმოებულების აღრიცხვა საშუალებას იძლევა მარტივად ჩავწეროთ სასაზღვრო ამოცანების შესაბამისი გრინის ფორმულები ზედაპირზე თუკი მოცემული გვაქვს ფუნდამენტური ამონახსნი. გრინის ფორმულისა და კვალების შესახებ ლემის საშუალებით მტკიცდება მაღალი რიგის კვალების არსებობა, ხოლო ლაქს-მილგრამის ლემის საშუალებით - ამონახსნის არსებობა და ერთადერთობა.

რაც შეეხება პოტენცილთა მეთოდს, იგი წარმოადგენს სასაზღვრო ამოცანების კვლევის მძლავრ იარაღს: ამონახსნი წარმოიდგინება ფენოვანი პოტენციალების საშუალებით, რომელთა სიმრკვრივეებიდან ნაწილი მოცემულია, ხოლო დარჩენილი წარმოადგენს ფსევდოდიფერენციალური განტოლების ამონახსნს, რომელიც ჩაწერილია არის საზღვარზე. ასეთ მიდგომას ეწოდება პოტენცილათა მეთოდი. მისი საშუალებით ხდება სასაზღვრო ამოცანის დაყვანა ექვივალენტურ განტოლებათა სისტემაზე და ხდება მიღებული განტოლების ამოხსნადობის სრული გამოკვლევა, რაც გვაძლევს საშუალებას გავაკეთოთ დასკვნები საწყისი სასაზღვრო ამოცანის ცალსახად ამოხსნადობისა და ამონახსნის თვისებების შესახებ.

კვლევითი თემის აქტუალობა

სასაზღვრო ამოცანები ჰიპერზედაპირზე გამოიყენება სხვადასხვა ამოცანებში და აქვთ ბევრი პრაქტიკული გამოყენება. მაგალითისთვის, იხილეთ ჰააკის სტატია ზედაპირზე სითბოს გავრცელების შემთხვევაში, არისის სტატია ზედაპირული ნაკადის განტოლებისათვის, სიარლე და ანდერსონი & კრუშელის სტატიები აინშტაინის განტოლებისთვის, რომელიც აღწერს გრავიტაციულ ველებს ვაკუუმში, თემამი & ციანეს სტატია ნავიე-სტოქსის განტოლებებისთვის სფერულ არეზე, თ. ბუჩუკურის და რ. დუდუჩავას სტატია გარსების განტოლბაზე რომელიც მიღებულია Γ- კრებადობის გამოყენებით.

ბი-ლაპლას-ბელტრამის ოპერატორი $\Delta^2 = \Delta \times \Delta$ წარმოადგენს მეოთხე რიგის ოპერატორს. ჰიპერზედაპირზე სასაზღვრო ამოცანები გვხვდება სხვადასხვა სიტუაციებში და გააჩნიათ ბევრი პრაქტიკული გამოყენება. ის გვხვდება წრფივი ელასტიურობის სხვადასხვა ამოცანებში, მაგალითად როდესაც ვეძებთ ფირფიტის მცირე გადაადგილებას, სადაც ლაპლასიანი აღწერს მემბრანის ყოფაქცევას.

კვლევის მიზნები და ამოცანები

აქ ჩვენ მოვიყვანთ იმ ძირითად შედეგებს, რომლებიც წარმოადგენს სადოქტორო ნაშრომის ძირითად თეორემებს. სასაზღვრო ამოცანების სუსტი კლასიკური დასმით განხილვისას მიღებულია შემდეგი ძირითადი თეორემები:

ვთქვათ, $\mathcal{C} \subset \mathcal{S}$ არის ჩაკეტილი ჰიპერზედაპირის $\mathcal{S}$ გლუვი ქვეზედაპირი ევკლიდის სივრცეში $\mathbb{R}^n$ და $\Gamma = \partial\mathcal{C} \neq \emptyset$ არის მისი გლუვი საზღვარი $\partial\mathcal{C} = \Gamma$ და გაყოფილია ორ ბმულ ნაწილად $\partial\mathcal{C} = \Gamma = \Gamma_D \cup \Gamma_N$. ვთქვათ $\mathcal{D}_j := \partial_j - \nu_j \partial_\nu$, $j = 1, \dots, n$ არის გიუნტერის მხები წარმოებული და $\Delta_{\mathcal{C}}(t, \mathcal{D}) := \mathcal{D}_1^2 + \dots + \mathcal{D}_n^2$ არის ლაპლას-ბელტრამის ოპერატორი ჰიპერზედაპირზე $\mathcal{C}$.

სასაზღვრო ამოცანები ჰიპერზედაპირებზე

თეორემა 1: განიხილება შერეული სასაზღვრო ამოცანა „ანიზოტროპული“ ლაპლას-ბელტრამის განტოლებისათვის

$$\begin{cases} \operatorname{div}_{\mathcal{C}}(A\nabla_{\mathcal{C}}u)(t) = f(t), & t \in \mathcal{C} \\ u^{+}(s) = g(s), & \Gamma_D \\ \langle \mathbf{v}_{\Gamma}(s), (A\nabla_{\mathcal{C}}u)^{+}(s)\rangle = h(s), & \Gamma_N \end{cases}$$

სადაც $A = \{a_{ij}\}$ არის მკაცრად დადებითად განსაზღვრუ-ლი $n \times n$ მატრიცი.

ჩამოყალიბებულ ამოცანას სუსტი კლასიკური დასმით

$$f \in \mathbb{H}^{-1}(\mathcal{C}), \qquad g \in \mathbb{H}^{1/2}(\Gamma), \qquad h \in \mathbb{H}^{-1/2}(\Gamma)$$

გააჩნია ერთადერთი ამონახსნი $\mathbb{W}^{1}_{\#}(\mathcal{C})$ სივრცეში.

ვთქვათ, $\Delta^2 := \sum_{j,k=1}^{n} \mathcal{D}_j^2 \mathcal{D}_k^2$ არის ბი-ლაპლას-ბელტრამის ოპერატორი $\mathcal{C}$ ზედაპირზე.

თეორემა 2: ბი-ლაპლას-ბელტრამის განტოლებას სასაზღვრო პირობებით

$$\begin{cases} \Delta_{\mathcal{C}}^2 u(t) = f(t), & t \in \mathcal{C} \\ (\partial_{\mathbf{v}_{\Gamma}} u)^{+}(s) = g(s), & \Gamma \\ \partial_{\mathbf{v}_{\Gamma}} \Delta_{\mathcal{C}} u)^{+}(s) = h(s), & \Gamma \end{cases}$$

სუსტი კლასიკური დასმით

$$u \in \mathbb{H}^2(\mathcal{C}), \quad f \in \mathbb{H}_{\Gamma}^{-2}\mathcal{C}), \quad g \in \mathbb{H}^{1/2}(\Gamma), \quad h \in \mathbb{H}^{-3/2}(\Gamma),$$

გააჩნია ერთადერთი ამონახსნი $\mathbb{H}^{2}_{\#}(\mathcal{C})$ სივრცეში.

ვთქვათ $\mathcal{C} \subset \mathcal{S}$ არის ჩაკეტილი ჰიპერზედაპირის $\mathcal{S}$ გლუვი ქვეზედაპირი ევკლიდის სივრცეში $\mathbb{R}^n$ და მისი საზღვარი $\partial\mathcal{C} = \Gamma = \Gamma_1 \cup \Gamma_2 \neq \varnothing$ გაყოფილია ორ თანაუკვეთ ნაწილად.

თეორემა 3: ბი-ლაპლას-ბელტრამის განტოლებას შერეული სასაზღვრო პირობებით

$$\begin{cases} \Delta_{\mathcal{C}}^2 u(t) = f(t), & t \in \mathcal{C} \\ (u)^+(s) = g_1(s), & \Gamma_1 \\ (\partial_{\mathbf{v}_\Gamma} u)^+(s) = g_2(s), & \Gamma_2 \\ (\Delta_{\mathcal{C}} u)^+(s) = h_1(s), & \Gamma_1 \\ \partial_{\mathbf{v}_\Gamma} \Delta_{\mathcal{C}} u)^+(s) = h_2(s), & \Gamma_2 \end{cases}$$

სუსტი კლასიკური დასმით

$$u \in \mathbb{H}^2(\mathcal{C}), \quad f \in \widetilde{\mathbb{H}}_\Gamma^{-2}(\mathcal{C}), \quad g_1 \in \mathbb{H}^{3/2}(\Gamma_1),$$

$$g_2 \in \mathbb{H}^{1/2}(\Gamma_2), \quad h_1 \in \mathbb{H}^{-1/2}(\Gamma_1), \quad h_2 \in \mathbb{H}^{-3/2}(\Gamma_2).$$

გააჩნია ერთადერთი ამონახსნი $\mathbb{H}_\#^2(\mathcal{C})$ სივრცეში.

სასაზღვრო ამოცანების არაკლასიკური დასმით განხილვისას მიღებულია შემდეგი ძირითადი თეორემები:

ვთქვათ $\mathcal{S} \subset \mathbb{R}^3$ არის რაიმე გლუვი ჩაკეტილი ორიენტი-რებული ზედაპირი, რომელიც ესაზღვრება შიგა Ω^+ და გარე $\Omega^- := \mathbb{R}^3 \setminus \overline{\Omega^+}$ არეებს. $\mathcal{C}$-თი აღვნიშნოთ $\mathcal{S}$-ს ქვეზედაპირი, რომელსაც აქვს ორი სახე $\mathcal{C}^-$ და $\mathcal{C}^+$ და აქვს იგივე ორიენტაცია, რაც $\mathcal{S}$-ს: $\mathcal{C}^+$ ესაზღვრება შიდა Ω^+ არეს და $\mathcal{C}^-$ ესაზღვრება გარე Ω^- არეს. $\mathcal{C}$-ს აქვს გლუვი საზღვარი $\Gamma := \partial\mathcal{C}$, რომელიც გაყოფილია ორ ნაწილად $\Gamma = \Gamma_D \cup \Gamma_N$ და თითოეული შედგება სასრული რაოდენობა გლუვი თანაუკვეთი წირებისაგან.

განვიხილოთ შერეული სასაზღვრო ამოცანა ლაპლას-ბელტრამის განტოლებისათვის

სასაზღვრო ამოცანები ჰიპერზედაპირებზე

$$\begin{cases} \Delta_{\mathcal{C}} u(t) - u(t) = f(t), & t \in \mathcal{C}, \\ u^{+}(\tau) = g(\tau), & \tau \in \Gamma_D, \\ (\partial_{\nu_\Gamma} u)^{+}(\tau) = h(\tau), & \tau \in \Gamma_N. \end{cases} \tag{1}$$

შემდეგი არაკლასიკური დასმით

$$u \in \mathbb{W}^{s}_{p,\#}(\mathcal{C}), \quad f \in \mathbb{H}^{s-2}_{p}(\mathcal{C}) \cap \mathbb{H}^{-1}_{0}(\mathcal{C}), \quad g \in \mathbb{W}^{s-1/p}_{p,\#}(\Gamma_D),$$

$$h \in \mathbb{W}^{s-1-1/p}_{p,\#}(\Gamma_N), \quad 1 < p < \infty, \quad s > \frac{1}{p} \tag{2}$$

თეორემა 4: ვთქვათ $1 < p < \infty$, $\frac{1}{p} < s < 1 + \frac{1}{p}$. სასაზღვრო ამოცანა (1) არის ფრედჰოლმის არაკლასიკური დასმით (2) მაშინ და მხოლოდ მაშინ თუ

$$\sin \pi \left(\frac{2}{p} - s - i\xi \right) \neq \pm 1, \qquad \xi \in \mathbb{R}$$

რომელიც ექვივალენტურია შემდეგი პირობის

$$s - \frac{2}{p} \neq \pm\frac{1}{2}, \pm\frac{3}{2}$$

(c) შერეული სასაზღვრო ამოცანა არის ცალსახად ამოხსნადი (2) არაკლასიკური დასმით მაშინ და მხოლოდ მაშინ, თუ:

$$-\frac{1}{2} < s - \frac{2}{p} < \frac{1}{2}.$$

თეორემა 5: ვთქვათ (2) პირობები სრულდება, $g_0 \in \mathbb{W}^{s-1/p}_{p,\#}(\Gamma)$, $h_0 \in \mathbb{W}^{s-1-1/p}_{p,\#}(\Gamma)$ არიან სასაზღვრო მნიშვნელობების

$g \in \mathbb{W}^{s-1/p}_{p,\#}(\Gamma_D)$ და $h \in \mathbb{W}^{s-1-1/p}_{p,\#}(\Gamma_N)$ რაიმე ფიქსირებული გაგრძელებები შესაბამისად $\Gamma = \Gamma_D \cup \Gamma_N$ საზღვრის ნაწილებზე:

a). მაშინ (1) სასაზღვრო ამოცანის ამონახსნი წარმოიდგინება ფორმულით

$$u(x) = \mathbf{N}_{\mathcal{C}} f(x) + \mathbf{W}_\Gamma(g_0 + \varphi_0)(x) - \mathbf{V}_\Gamma(h_0 + \psi_0)(x), \quad x \in \mathcal{C}.$$

აქ $\mathbf{N}_{\mathcal{C}}$, $\mathbf{W}_\Gamma$ და $\mathbf{V}_\Gamma$ არიან ნიუტონის, ორმაგი და მარტივი ფენის პოტენციალები და φ_0, ψ_0 წარმოადგენენ შემდეგი სასაზღვრო ფსევდოდიფერენციალურ განტოლებათა სისტემის ამონახსნებს

$$\begin{cases} \frac{1}{2}\varphi_0 - r_N \mathbf{W}_{\Gamma,0}\varphi_0 + r_N \mathbf{V}_{\Gamma,-1}\psi_0 = G_0, \quad \Gamma_N, \\ \frac{1}{2}\psi_0 + r_D \mathbf{W}^*_{\Gamma,0}\psi_0 - r_D \mathbf{V}_{\Gamma,+1}\varphi_0 = H_0, \quad \Gamma_D \end{cases} \tag{3}$$

$$\varphi_0 \in \mathbb{W}^r_{p,\#}(\Gamma_N), \quad \psi_0 \in \mathbb{W}^{r-1}_{p,\#}(\Gamma_D),$$
$$G_0 \in \mathbb{W}^r_{p,loc}(\Gamma_N), \quad H_0 \in \mathbb{W}^{r-1}_{p,loc}(\Gamma_D),$$

სადაც $\{r = s - 1/p\}$ და G_0 და H_0 არიან f, g_0 და h_0 ტერმინებით მოცემული ფუნქციები.

b). პირიქითაც: თუ u არის (1) სასაზღვრო ამოცანის ამონახსნი (2) დასმით, მაშინ $\varphi_0 := r_{\Gamma_D}(u^+ - g_0)$ და $\psi_0 := r_{\Gamma_N}((\partial_\nu u)^+ - h_0)$ არიან (3) სისტემის ამონახსნები.

c). (3) განტოლებათა სისტემას გააჩნია ამონახსნთა ერთადერთი $\varphi_0 \in \mathbb{W}^{1/2}_{\#}(\Gamma_N)$ და $\psi_0 \in \mathbb{W}^{-1/2}_{\#}(\Gamma_D)$ წყვილი სუსტი კლასიკური დასმით $p = 2$, $s = 1$-სთვის.

არაკლასიკური დასმით განხილვისას, ასევე შესწავლილია შემდეგი სასაზღვრო ამოცანა ბი-ლაპლას-ბელტრამის განტოლებისათვის

სასაზღვრო ამოცანები ჰიპერზედაპირებზე

$$\begin{cases} \Delta^2_{\mathcal{C}} u(t) - u(t) = f(t), & t \in \mathcal{C}, \\ u^+(s) = g(s), & s \in \Gamma, \\ (\partial_{\nu_\Gamma} u)^+(s) = h(s), & s \in \Gamma. \end{cases} \qquad (4)$$

შემდეგი არაკლასიკური დასმით:

$$u \in \mathbb{H}^s_{p,\#}(\mathcal{C}), \quad f \in \mathbb{H}^{s-4}_p(\mathcal{C}) \cap \mathbb{H}^{-2}_0(\mathcal{C}), \quad g \in \mathbb{H}^{s-1/p}_{p,\#}(\Gamma),$$

$$h \in \mathbb{H}^{s-1-1/p}_{p,\#}(\Gamma), \quad 1 < p < \infty, \quad s > \frac{1}{p} \qquad (5)$$

თეორემა 6: ვთქვათ შესრულებულია: (5) პირობები.

a). მაშინ (4) სასაზღვრო ამოცანის ამონახსნი წარმოიდგენა ფორმულით

$$u(x) = \mathbf{N}_{\mathcal{C}} f(x) + \mathbf{W}_{(0,\Gamma)} g(x) - \mathbf{W}_{(-1,\Gamma)} h(x) + \mathbf{W}_{(-2,\Gamma)} \varphi(x) - \mathbf{W}_{(-3,\Gamma)} \psi(x)$$

$$u \in \mathbb{H}^2_{\#}(\mathcal{C}), \qquad x \in \mathcal{C}.$$

აქ $\mathbf{N}_{\mathcal{C}}$, $\mathbf{W}_{(j,\Gamma)}$, $j = \overline{-3,1}$ წარმოადგენენ ნიუტონის და ფენოვან პოტენციალებს და φ და ψ არიან შემდეგი სასაზღვრო ფსევდო-დიფერენციალურ განტოლებათა სისტემის ამონახსნები

$$\begin{cases} \mathbf{V}^0_{(-2,\Gamma)} \varphi - \mathbf{V}^0_{(-3,\Gamma)} \psi = G, & \Gamma, \\ \mathbf{V}^1_{(-1,\Gamma)} \varphi - \mathbf{V}^1_{(-2,\Gamma)} \psi = H, & \Gamma \end{cases} \qquad (6)$$

$$\varphi \in \mathbb{H}^r_{p,\#}(\Gamma), \quad \psi \in \mathbb{H}^{r-1}_{p,\#}(\Gamma), \quad G \in \mathbb{H}^r_{p,\#}(\Gamma), \quad H \in \mathbb{H}^{r-1}_{p,\#}(\Gamma)$$

სადაც $\{ r = s - 1/p$, G და H არიან მოცემული ფუნქციები, ჩაწერილი f, g და h-ის საშუალებით.

b). პირიქითაც: თუ u არის (4) სასაზღვრო ამოცანის ამონახსნი (5) დასმით, მაშინ $\varphi := u^+$, $\psi := (\partial_\nu u)^+$ წარმოადგენენ (6) განტოლებათა სისტემის ამონახსნს.

c). (6) სასაზღვრო ფსევდოდიფერენციალურ განტოლებათა სისტემას გააჩნია ამონახსნების ერთადერთი წყვილი $\varphi \in \mathbb{W}^{3/2}(\Gamma)$ და $\psi \in \mathbb{W}^{1/2}(\Gamma)$ სუსტი კლასიკური დასმით $p = 2$ და $s = 2$ -სთვის.

განვიხილოთ მოდელური შერეული სასაზღვრო ამოცანა ჰელმჰოლცის განტოლებისათვის კუთხოვან არეში

$$\begin{cases} \Delta u(t) - k^2 u(t) = f(t), & t \in \Omega_\alpha, \\ u^+(s) = g(s), & s \in \mathbb{R}^+, \\ (\partial_{\nu_\Gamma} u)^+(s) = h(s), & s \in \mathbb{R}_\alpha, \end{cases} \tag{7}$$

შემდეგი არაკლასიკური დასმით

$$u \in \mathbb{H}_p^s(\Omega_\alpha), \quad f \in \mathbb{H}_p^{s-2}(\Omega_\alpha) \cap \mathbb{H}_0^{-1}(\Omega_\alpha), \quad g \in \mathbb{H}_p^{s-1/p}(\mathbb{R}^+),$$

$$h \in \mathbb{H}_p^{s-1-1/p}(\mathbb{R}_\alpha), \qquad 1 < p < \infty, \quad \frac{1}{p} < s < 1 + \frac{1}{p} \tag{8}$$

თეორემა 7: ვთქვათ $\alpha \in (0, 2\pi)$, $1 < p < \infty$ და $\frac{1}{p} < s < 1 + \frac{1}{p}$.

შერეული სასაზღვრო (7) ამოცანა არის ფრედჰოლმის არაკლასიკური (8) დასმით მაშინ და მხოლოდ მაშინ, თუ:

$$\sin^2 \pi\left(\frac{2}{p} - s - i\xi\right) - \cos^2(\pi - \alpha)\left(\frac{2}{p} - s - i\xi\right) \neq 0$$

რომელიც ექვივალენტურია შემდეგი პირობის

$$\alpha\left(s - \frac{2}{p}\right) \neq \pm\frac{1}{2}\pi, \pm\frac{3}{2}\pi.$$

კერძოდ, (7) სასაზღვრო ამოცანას აქვს ერთადერთი ამონახსნი ნებისმიერი $0 < \alpha < 2\pi$ -თვის არაკლასიკური (8) დასმით, თუ:

$$-\frac{\pi}{2} < \alpha\left(s - \frac{2}{p}\right) < \frac{\pi}{2}.$$

თეორემა 8: ვთქვათ $1 < p < \infty$ და $\frac{1}{p} < s < 1 + \frac{1}{p}$. ვთქვათ $g_0 \in \mathbb{W}_p^{s-1/p}(\Gamma_\alpha)$ და $h_0 \in \mathbb{W}_p^{s-1-1/p}(\Gamma_\alpha)$ არიან $g \in \mathbb{W}_p^{s-1/p}(\mathbb{R}_\alpha)$ და $h \in \mathbb{W}_p^{s-1-1/p}(\mathbb{R}^+)$ სასაზღვრო პირობების რაიმე ფიქსირებული გაგრძელება, რომლებიც თავიდან განსაზღვრული იყვნენ Γ_α საზღვრის $\mathbb{R}_\alpha$ და $\mathbb{R}^+$ ქვესიმრავლეზე მხოლოდ.

a). (7) სასაზღვრო ამოცანის ამონახსნი წარმოიდგინება ფორმულით

$$u(x) = \mathbf{N}_{\mathcal{C}} f(x) + \mathbf{W}_\Gamma(g_0 + \varphi_0)(x) - \mathbf{V}_\Gamma(h_0 + \psi_0)(x), \quad x \in \Omega_\alpha, \quad (9)$$

სადაც φ_0 და ψ_0 არიან შემდეგი ფსევდოდიფერენციალურ განტოლებათა სისტემის ამონახსნები

$$\begin{cases} \frac{1}{2}\varphi_0(t) + r_{\mathbb{R}^+}\mathbf{V}_{\Delta+k^2,-1}\psi_0(t) = G_+(t), & t \in \mathbb{R}^+ \\ \frac{1}{2}\psi_0(t) - r_{\mathbb{R}_\alpha}\mathbf{V}_{\Delta+k^2,+1}\varphi_0(t) = H_-(t) & t \in \mathbb{R}_\alpha, \end{cases} \quad (10)$$

$$\varphi_0 \in \mathbb{W}_p^{s-1/p}(\mathbb{R}^+), \qquad \psi_0 \in \mathbb{W}_p^{s-1-1/p}(\mathbb{R}_\alpha),$$

$$G_+ := r_{\mathbb{R}^+}G_0 \in \mathbb{W}_p^{s-1/p}(\mathbb{R}^+), \qquad H_- = r_{\mathbb{R}_\alpha}H_0 \in \mathbb{W}_p^{s-1-1/p}(\mathbb{R}_\alpha)$$

b). პირიქითაც: თუ $\varphi_0 \in \mathbb{W}_p^{s-1/p}(\mathbb{R}^+)$, $\psi_0 \in \mathbb{W}_p^{s-1-1/p}(\mathbb{R}_\alpha)$ წყვილი წარმოადგენს (10) სისტემის ამონახსნს, მაშინ (9) ტოლობაში მოცემული $u(x)$ ფუნქცია არის (7) სასაზღვრო ამოცანის ამონახსნი და $u^+ = g_0 + \varphi_0$, $(\partial_\nu u)^+ = h_0 + \psi_0$.

c). ფსევდოდიფერენციალურ განტოლებათა (10) სისტემას გააჩნია ამონახსნთა ერთადერთი წყვილი $\varphi_0 \in \mathbb{W}^{1/2}(\mathbb{R}^+) \cap \mathbb{H}^{1/2}(\mathbb{R}^+)$ და

$\psi_0 \in \mathbb{W}^{-1/2}(\mathbb{R}_\alpha) \cap \mathbb{H}^{-1/2}(\mathbb{R}_\alpha)$ სუსტი კლასიკური დასმით $p = 2$, $s = 1$.

„The University of Georgia“

School of Science and Technology

Doctoral Program: Mathematics

Medea Tsaava

Boundary Value Problems for Eliptic Equations on Hupersurfaces with the Lipschitz Boundary

Dissertation Herald

Tbilisi

2021

სასაზღვრო ამოცანები ჰიპერზედაპირებზე

General description

The problems, which are considered in the dissertation, have one of the most important place in the investigation of the partial differential equations.

In the dissertation it is investigated solvability and uniqueness of boundary value problems for high-order partial differential equations in both classical and non-classical setting on a hypersurface. In particular, it is considered existence and unique\-ness of a solution of ordinary and mixed boundary value problems for the “anisotropic” Lap\-lace-Beltrami and bi-Laplace-Beltrami equations in the classical set\-ting in the Bessel Potential $\mathbb{H}^1_2(\mathcal{C})$ space on a smooth $\mathcal{C}$ hypersurface with smooth $\Gamma=\partial\mathcal{C}$ boundary.

